წმინდა მამის გზავნილი

2021 წლის დიდმარხვასთან დაკავშირებით

„აჰა, ავდივართ იერუსალიმს..“ (მთ 20,18)

დიდმარხვა: ჟამი რწმენის, იმედისა და სიყვარულის განახლებისა

ძვირფასო ძმანო და დანო,

გაუმჟღავნა რა თავის მოწაფეთ საკუთარი ვნების, სიკვდილისა და აღდგომის მამისეული განზრახვა, იესომ აუხსნა მათ თავისი მისიის ღრმა არსი და მოუწოდა შეერთებოდნენ მას, ქვეყნიერების გადასარჩენად.

დიდმარხვისეული გზის გავლისას, რომელსაც აღდგომის დღესასწაულისკენ მივყავართ, ვიხსენებთ mas, ვინც „დაიმდაბლა თავი თვისი და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდიდმდე და სიკუდილითა მით ჯუარისაჲთა“ *(ფილ 2.8).* ამ მოქცევის ჟამს, განვაახლებთ ჩვენს რწმენას, ვეწაფებით *„ცხოველ წყალს“ იმედისა* და კარს ვუღებთ *ღმერთის სიყვარულს*, ქრისტესმიერ ძმებად და დებად რომ გვაქცევს. აღდგომის ღამეს განვაახლებთ ჩვენი ნათლობის დაპირებებს, რათა ხელახლა ვიშვათ სულიწმიდის ქმედებით. დიდმარხვისეული გზა, მთელი ქრისტიანული გზის მსგავსად, აღდგომის შუქითაა მოსილი, ქრისტეს მიმდევრის გრძნობებს, შეგნებასა და არჩევანს რომ ასულდგმულებს.

თანახმად იესოსეული ქადაგებისა (შდრ. *მთ* 6, 1-18), *მარხვა, ლოცვა და მოწყალება*, ჩვენი მოქცევის პირობა და გამოხატულებაა. სიღარიბისა და მოკლების გზა (*მარხვა*), დაჭრილი ადამიანისადმი მიპყრობილი მზერა და მისდამი გაწვდილი ხელი (*მოწყალება*), მამასთან შვილობრივი საუბარი (*ლოცვა*) საშუალებას გვაძლევენ ხორცი შევასხათ გულწრფელ რწმენას, ცოცხალ იმედსა და ქმედით სიყვარულს.

1. ***რწმენა მოგვიწოდებს კარი გავუღოთ ჭეშმარიტებას და დავემოწმოთ მას ღმერთისა და ჩვენი და-ძმების წინაშე.***

ამ დიდმარხვის ჟამს, ქრისტეში გამოვლენილი ჭეშმარიტების მიღება და განცდა ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, მიღებას ღმერთის სიტყვისა, რომელიც თაობიდან თაობაში გადმოგვეცემა ეკლესიის მიერ. ეს ჭეშმარიტება ინტელექტის ნაყოფი და მხოლოდ რჩეულთა თუ აღმატებულთა ხვედრი როდია, არამედ ღმერთის სიდიადისადმი გაღებული გულის გონებით შეგრძნობილი გზავნილია, ღმერთისა, რომელსაც მანამდეც ვუყვარვართ, ვიდრე ამას ჩვენვე მივხვდებით. ეს ჭეშმარიტება თავად ქრისტეა, რომელიც სრულად შეიმოსა რა ჩვენი ადამიანური ბუნებით, იქცა იმ ძნელადსავალ, მაგრამ ყველასთვის ღია გზად, სიცოცხლის სისრულემდე რომ მივყავართ.

მოკლების გამოცდილებად ქცეული მარხვა, წრფელი გულით განცდილი, აღმოგვაჩენინებს ღმერთის საჩუქარს და ჩვენი, როგორც მისი ხატი და მსგავსი ქმნილებების რეალობას, ქმნილებებისა, რომლებიც მასში ჰპოვებენ თავის სისრულეს.

ნებაყოფლობითი სიღარიბის განცდისას, მარხვაში მყოფი ადამიანი, ღარიბთან ღარიბად ქცეული, „აგროვებს“ მიღებული და გაზიარებული სიყვარულის სიმდიდრეს. ამგვარად გაგებული და ჩატარებული მარხულობა გვეხმარება ღმერთისა და მოყვასის შეყვარებაში, რადგან, როგორც თომა აქვინელი გვასწავლის, სიყვარული მოძრაობაა ჩვენიდან სხვა ადამიანისკენ, რომელსაც ჩვენთან შერწყმულ არსებად მოვიაზრებთ (შდრ. ენციკლიკა „*ყოველნო ძმანო*“, 93).

დიდმარხვა რწმენის ჟამია, ანუ იმისა, რომ ჩვენს ცხოვრებაში შემოვუშვათ ღმერთი და ნება მივცეთ მას ჩვენთან „დაივანოს“ (შდრ. *იო* 14, 23). მარხულობა ნიშნავს გამოვათავისუფლოთ ჩვენი ყოფა ზედმეტი ტვირთისგან, თუნდაც მართალი თუ ყალბი ინფორმაციისგან, მოხმარებული პროდუქციისგან, რათა გავუღოთ გული mas, ძეს მაცხოვარი ღმერთისა, რომელიც მოდის ჩვენთან, რათა დაემკვიდროს ყველაფრით ღარიბი, მაგრამ „მადლითა და ჭეშმარიტებით სავსე“ (*იო* 1, 14).

2. ***იმედი, როგორც „ცოცხალი წყალი“, რომელიც გზის გაგრძელებას შეგვაძლებინებს.***

სამარიელი ქალი, რომელსაც იესომ ჭასთან წყალი სთხოვა, ვერ ხვდება, რას ნიშნავს იესოს მიერ შეპირებული „ცოცხალი წყალი“ *(იო* 4, 10*).* თავიდან, ალბათ ნივთიერი წყალი ჰგონია, იესო კი სულიწმინდას გულისხმობს, იმას, რასაც igi უხვად გასცემს აღდგომის საიდუმლოში და რომელიც უეჭველ იმედს გვისახავს. ჯერ კიდევ თავისი ვნებისა და სიკვდილის გაცხადებისას, იესო იმედს გვაძლევს, როცა ამბობს: *„და აღდგება მესამე დღეს“* (*მთ* 20,19). იესო გვესაუბრება მამის გულმოწყალებით გაღებულ მომავალზე. masTan და misi წყალობით იმედოვნება ნიშნავს გწამდეს, რომ ისტორია არც ჩვენი შეცდომებით, ჩვენი ძალადობითა თუ უსამართლობით მთავრდება და არც იმ ცოდვით, siyvaruls რომ ჯვარზე აკრავს; ნიშნავს იმას, რომ მისი ღია gulidan მიიღო მამისეული მიტევება.

დღევანდელი უამრავი საფიქრალის კონტექსტში, რომელშიც ცხოვრება გვიწევს და სადაც ყველაფერი ასე მყიფე და არასაიმედოა, იმედზე საუბარი, შესაძლოა გამომწვევად გვეჩვენოს. დიდმარხვის ჟამი იმედისთვისაა შექმნილი, ღმერთისეული თმენისთვის თვალის მისაპყრობად, ღმერთისა, რომელიც ზრუნავს თავის ქმნილებაზე, ჩვენ რომ ხშირად ასე უდიერად ვეპყრობით (შდრ. ენციკლიკა *„Laudato si'*, 32-33. 43-44). ეს იმედია შერიგებისა, რომლისკენაც მგზნებარედ მოგვიწოდებს წმ. პავლე: „შეურიგდით ღმერთს“ (2 *კორ* 5, 20). მიტევების მიღებისას, საიდუმლოში, რომელიც გულია ჩვენი მოქცევისა, ჩვენ თვითონ ვხდებით მიმტევებლები: თავად მიტევებულნი ჩვენც მივუტევებთ დაჭრილ ადამიანს, მასზე ზრუნვითა და ნუგეშით აღსავსე დიალოგის უნარის მეშვეობით. ღმერთისეული მიტევება, მათ შორის, ჩვენი სიტყვებითა და ქმედებებით გადმოცემული, საშუალებას მოგვცემს ძმობის გარემოში ვიზეიმოთ აღდგომა.

დიდმარხვის ჟამს, ვცდილობთ „წარმოვთქვათ გამამხნევებელი სიტყვები, რომლებიც ნუგეშს გვრიან, ძალასა და სტიმულს მატებენ ადამიანებს, უარს ვამბობთ დამამცირებელ, დამამწუხრებელ, გამაღიზიანებელ და შეურაცხმყოფელ სიტყვებზე“

(ენციკლიკა „ყოველნო ძმანო“, 223). ზოგჯერ, იმედის მისაცემად საკმარისია „გამოიჩინო თავაზიანობა, გვერდზე გადადო საკუთარი წუხილი და საფიქრალი და ყურადღებით მოეპყრო სხვას, გაუღიმო, გაამხნევო და ამ საყოველთაო გულგრილობის გარემოში ყურადღებით მოუსმინო მას“ (*იქვე*, 224).

მედიტაციისა და ჩუმი ლოცვის დროს, იმედი მოგვეცემა, როგორც შთაგონება და შინაგანი ნათელი, რომელიც ეფინება ჩვენი მისიის გამოწვევებსა და გადაწყვეტილებებს: ამიტომაცაა აუცილებელი ლოცვაზე კონცენტრირება (შდრ. მთ 6,6) და მზრუნველ მამასთან ფარულად შეხვედრა.

დიდმარხვის იმედიანად განცდა ნიშნავს იესო ქრისტეში დაემოწმო ახალ დროებას, რომელშიც ღმერთი „ყველაფერს შექმნის ახალს“ (შდრ. გამ 21, 1-6); ნიშნავს მიიღო იმედი ქრისტესი, რომელიც აღესრულება ჯვარზე და აღდგება მესამე დღეს; ეს ნიშნავს „მარადჟამ მზად იყო, რომ თვინიერად და მოწიწებით მიუგო ყველას, ვინცა გთხოვთ თქვენი სასოების ახსნას“ (1 *პტ* 3, 15).

3. სიყვარული, განცდილი ქრისტეს კვალდაკვალ, ყოველი ადამიანის მიმართ ყურადღებითა და გულმოწყალებით, უმაღლესი გამოხატულებაა ჩვენი რწმენისა და იმედისა.

სიყვარული ხარობს, როცა ხედავს როგორ იზრდება სხვა. ამიტომაც წუხს, როცა სხვას უჭირს: როცა იგი მარტოა, ავადაა, უსახლკაროა, გარიყულია, უპოვარია... სიყვარული გულის გაქანებაა, ჩვენი თავიდან რომ გამოგვიყვანს და სხვების თანაზიარად გვაქცევს.

„სოციალურმა სიყვარულმა, შესაძლოა, სიყვარულის ცივილიზაციამდე მიგვიყვანოს, რისკენაც ყველანი მოწოდებულნი ვართ. სიყვარულს, თავისი საყოველთაო დინამიზმით, ძალუძს ახალი მსოფლიოს აშენება, რადგან იგი უნაყოფო გრძნობა კი არა, საუკეთესო საშუალებაა ყველა ადამიანის განვითარების ქმედით გზებამდე მისასვლელად“ (*„ყოველნო ძმანო“*, 183).

სიყვარული საჩუქარია, რომელიც ჩვენს ცხოვრებას აზრს აძლევს და რომლის წყალობითაც გაჭირვებულ ადამიანს ჩვენი ოჯახის წევრად, მეგობრად და ძმად აღვიქვამთ. სიყვარულით განაწილებული მცირედიც კი არასდროს მთავრდება, არამედ სიცოცხლისა და ბედნიერების მარაგად იქცევა. ასე მოუვიდა ფქვილსა და ზეთს სარეფთელი ქვრივისა, რომელმაც წინასწარმეტყველ ელიას ხმიადი მიაწოდა (შდრ. *1 მეფეთა* 17, 7-16); ასე მოუვიდა პურს, რომელიც იესომ აკურთხა, გატეხა და მოწაფეებს მისცა ხალხისთვის დასარიგებლად (*მარ* 6, 30-44). იგივე ემართება ჩვენ მიერ სიხარულითა და გულით გაღებულ მოწყალებასაც, რაოდენიც არ უნდა იყოს იგი.

დიდმარხვის სიყვარულით შენახვა ნიშნავს ვიზრუნოთ მათზე, ვინც კოვიდ-19-ის გამო იტანჯება, მიტოვებული და დათრგუნულია. ბუნდოვანი ხვალინდელი დღის კონტექსტში, გავიხსენოთ ღმერთის მიერ მისი მსახურისადმი ნათქვამი სიტყვა: „ნუ

გეშინია, რადგან მე გიხსენი შენ“ (*ესაია* 43,1) და სიყვარულთ ვუთხრათ სხვას იმედიანი სიტყვა, ვაგრძნობინოთ, რომ ღმერთს იგი შვილივით უყვარს.

„ღარიბებს სიყვარულით გაფართოებული ჰორიზონტის მქონე თვალით უნდა შევხედოთ - მხოლოდ ასე შევძლებთ ვაღიაროთ და დავაფასოთ მათი უსაზღვრო ღირსება, პატივი ვცეთ მათ სტილსა და კულტურას. მხოლოდ ასე მოვახერხებთ მათ ინტეგრირებას საზოგადოებაში“ („ყოველნო ძმანო“, 187).

ძვირფასო ძმანო და დანო. ცხოვრების ყოველი ეტაპი რწმენის, იმედისა და სიყვარულის ჟამია. დაე, მოწოდება დიდმარხვის შენახვისა, დიდმარხვისა, როგორც მოქცევის, ლოცვისა და ჩვენი ქონების გაზიარების გზისა, დაგვეხმაროს, რათა ჩვენს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ ცოცხალი ქრისტესგან გამომავალ რწმენას, სულიწმინდის ქროლვით გაცოცხლებულ იმედს და მამის მოწყალე გულის უშრეტი წყაროდან გადმომდინარე სიყვარულს.

დაე, მარიამი, მშობელი მაცხოვრისა, რწმენით აღვსილი, ჯვრის ფერხთით და ეკლესიის გულში მყოფი, შეგვეწიოს თავისი მზრუნველი თანადგომით, და მკვდრეთით აღმდგარი უფლის ლოცვა-კურთხევა არ მოგვკლებოდეს აღდგომის ნათლისკენ მიმავალ გზაზე.

რომი, ლატერანის წმ. იოანეს ბაზილიკა, 2020 წლის 11 ნოემბერი, წმინდა მარტინ ტურელის ხსენების დღე

ფრანცისკე